# სადეპოზიტო სერტიფიკატით სარგებლობის ძირითადი პირობები

წინამდებარე პირობები არეგულირებს სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელის და ბანკის უფლება - მოვალეობებს, დაკავშირებულს სადეპოზიტო სერტიფიკატით სარგებლობასთან.

## 1. ზოგადი დებულებები

a. სადეპოზიტო სერტიფიკატი [შემდგომ შეიძლება მოხსენიებული იყოს როგორც „სერტიფიკატი“] წარმოადგენს ვადიან ანაბრებთან გათანაბრებულ ბანკის მიერ მოზიდულ სახსრებს და ადასტურებს ბანკის ვალდებულებას სერტიფიკატის მფლობელის მიმართ, რომ მხარეებს შორის გაფორმებული სადეპოზიტო სერტიფიკატით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებით [შემდგომ „ხელშეკრულება“] და წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით და ვადებში, დაუბრუნოს/გადაუხადოს სერტიფიკატის მფლობელს ფულადი სახსრები ან/და შეასრულოს სხვა პერიოდული ფინანსური ვალდებულებები.
b. სერტიფიკატის მფლობელის მიერ სერტიფიკატის ფლობა დასტურდება ბანკის მიერ გაცემული ამონაწერით სერტიფიკატების რეესტრიდან. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად მფლობელისათვის ცნობილია, რომ ამონაწერი არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს და ადასტურებს მხოლოდ მხარეებს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.
c. სერტიფიკატის მფლობელისათვის ცნობილია, რომ სერტიფიკატი არის არასტანდარტული და მასზე არ ვრცელდება კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების მოთხოვნები.
d. სერტიფიკატი შეიძლება იყოს ორი სახის: საპროცენტო ან დისკონტური.
e. საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის შემთხვევაში ბანკი იღებს ვალდებულებას, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში/წესით: [1] დაუბრუნოს მფლობელს სერტიფიკატის ნომინალური ღირებულების შესაბამისი თანხა [2] შეთანხმებული პერიოდულობით გადაუხადოს სერტიფიკატის მფლობელს საპროცენტო სარგებელი.
f. დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის შემთხვევაში ბანკი იღებს ვალდებულებას, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში გადაუხადოს მფლობელს დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულების შესაბამისი თანხა.
g. ხელშეკრულებით განსაზღვრული „სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადა“ მიუთითებს იმ თარიღზე, როცა ბანკს ეკისრება ვალდებულება გადაუხადოს/დაუბრუნოს სერტიფიკატის მფლობელს სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულების შესაბამისი თანხა.
h. სადეპოზიტო სერტიფიკატის განსათავსებელად გახსნილ ანგარიშზე თანხების შეტანა და მათი უკან დაბრუნება/გადახდა ხორციელდება სერტიფიკატის მფლობელის მიმდინარე/საბარათე ანგარიშის მეშვეობით, სერტიფიკატის მფლობელის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების შესაბამისად. თვით მიმდინარე/საბარათე ანგარიშთან დაკავშირებით მხარეთა უფლება - მოვალეობები რეგულირდება შესაბამისი ხელშეკრულებით.
i. წინამდებარე პირობები ვრცელდება როგორც საპროცენტო ისე დისკონტურ სერტიფიკატზე, თუ სპეციალურად არ იქნება მითითებული განსხვავებულის შესახებ ან კონტექსტიდან არ გამომდინარეობს, რომ პირობა შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ საპროცენტო ან მხოლოდ დისკონტურ სერტიფიკატს.
j. დაუშვებელია სადეპოზიტო სერტიფიკატის ნაწილობრივი განაღდება ან თანხის დამატება.

## 2. საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულების/სერტიფიკატზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვის/გადახდის წესი

a. საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის შემთხვევაში სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება გულისხმობს თანხებს, რომელიც მფლობელის მიერ გადაცემული იქნა ბანკისათვის სადეპოზიტო სერტიფიკატის მისაღებად და რომელიც ბანკის მიერ უკან უნდა დაუბრუნდეს სერტიფიკატის მფლობელს სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადის ბოლოს.
b. საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის შემთხვევაში ბანკი, ხელშეკრულებით/წინამდებარე პირობებით განსაზღვრული წესით, ოდენობით და პერიოდულობით უხდის სერტიფიკატის მფლობელს საპროცენტო სარგებელს.
c. საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ხორციელდება ყოველდღიურად, 365 დღეზე გაანგარიშებით.
d. ბანკი გადახდილ პროცენტს ასახავს სერტიფიკატის მფლობელის მიმდინარე ან საბარათე ანგარიშზე, სერტიფიკატის მფლობელის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების შესაბამისად.
e. ბანკი უკავებს სერტიფიკატის მფლობელს გადასახადს მიღებული საპროცენტო სარგებლიდან, შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში.

## 3. დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის გადახდის წესი

a. დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის შემთხვევაში, სერტიფიკატის თანხა ნიშნავს თანხას, რომელიც გადაცემული იქნა სერტიფიკატის მფლობელის მიერ ბანკისათვის სერტიფიკატის მისაღებად, ხოლო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება გულისხმობს თანხებს, რომელიც ბანკის მიერ გადახდილი უნდა იქნას სერტიფიკატის მფლობელისათვის სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადის ბოლოს.
b. ბანკი უკავებს სერტიფიკატის მფლობელს გადასახადს მიღებული ნამეტი შემოსავლიდან, შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში.

## 4. სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე განაღდება [გამოსყიდვა]

a. სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე განაღდება [გამოსყიდვა] გულისხმობს გარემოებას, როცა სერტიფიკატის მფლობელის სურვილის და ბანკის თანხმობის შემთხვევაში, სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელისათვის თანხების დაბრუნება ბანკის მიერ ხდება სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე.
b. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, სერტიფიკატის მფლობელის მოთხოვნა, ვადაზე ადრე განაღდების [გამოსყიდვის] შესახებ არ წარმოშობს ბანკის ვალდებულებას და ბანკი გადაწყვეტილებას იღებს საკუთარი შეხედულებისამებრ.
c. ბანკი არ არის ვალდებული დაასაბუთოს მისი უარი სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე განაღდებაზე [გამოსყიდვაზე].
d. თუ ბანკის დათანხმდება სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელის მიმართვას სერტიფიკატის ვადაზე ადრე განაღდების [გამოსყიდვის] შესახებ:
   i. საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ [ა] სადეპოზიტო სერტიფიკატის საფუძველზე განთავსებულ სახსრებს პროცენტი არ ერიცხებოდა და [ბ] სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელს დაეკისრება ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა, ხოლო სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელზე გადასახდელი თანხა დაკორექტირდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული პირობების [მათ შორის უკვე გაცემული პროცენტის გამოქვითვის] შესაბამისად.
   ii. დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის შემთხვევაში [ა] ბანკი უხდის სერტიფიკატის მფლობელს შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრულ სერტიფიკატის თანხას და არა ნომინალურ ღირებულებას და [ბ] სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელს დაეკისრება ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა, ხოლო სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელზე გადასახდელი თანხა დაკორექტირდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

e. სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე განაღდების [გამოსყიდვის] შესახებ სერტიფიკატის მფლობელის თხოვნას ბანკი განიხილავს და პასუხს აცნობებს მიმართვიდან 3 დღის ვადაში და დადებითი გადაწყვეტილების შესახებ თანხა გაიცემა 5 დღის ვადაში.
f. თუ სადეპოზიტო სერტიფიკატი წარმოადგენს ბანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას და ბანკს წარმოეშობა უფლება, რომ მოთხოვნა დაიკმაყოფილოს სადეპოზიტო სერტიფიკატის საფუძველზე კლიენტის მიერ განთავსებული სახსრების ხარჯზე, აღნიშნული გარემოება სამართლებრივად შეფასდება როგორც სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე განაღდება [გამოსყიდვა] და გამოიწვევს 4.d. პუნქტით გათვალისწინებულ შედეგებს, როგორც საპროცენტო, ისე დისკონტური სერტიფიკატის მიმართ. ამასთან, ჯერ მოხდება ჯარიმის ჩამოჭრა და შემდგომ დარჩენილი თანხიდან ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილება.
g. დაუშვებელია სერტიფიკატის ნაწილობრივი გამოსყიდვა.

## 5. სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისება

a. სერტიფიკატის მფლობელს უფლება აქვს გაასხვისოს სადეპოზიტო სერტიფიკატი.
b. სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისება ხდება ბანკის, გამსხვისებლის და შემძენის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის სტანდარტული ფორმაც შემუშავებულია ბანკის მიერ.
c. სერტიფიკატის გასხვისების შესახებ ნების გამოხატვა ხდება მხოლოდ ბანკის გაყიდვის წერტილში.
d. სერტიფიკატის გასხვისების შემდეგ ბანკის მიერ ხდება შესაბამისი ცვლილების შეტანა სერტიფიკატების რეესტრში, შემძენი რეგისტრირდება როგორც სერტიფიკატის მფლობელი და ამის დასადასტურებლად გაიცემა შესაბამისი ამონაწერი.
e. სერტიფიკატის მფლობელისათვის ცნობილია და ადასტურებს რომ სერტიფიკატის გასხვისება დაშვებულია მხოლოდ სასყიდლიანი გარიგების სახით, ხოლო ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ფულადი სახით.
f. წინამდებარე პირობების 5.b. პუნქტში მითითებული სამმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ბანკი ერთდროულად უზრუნველყოფს შემძენის ანგარიშიდან თანხის გამსხვისებლისათვის გადარიცხვას და სერტიფიკატის შემძენზე გადაფორმებას.
g. სერტიფიკატის გასხვისებისას, ბანკის სასარგებლოდ ხდება სერტიფიკატის გასხვისების ხელშეკრულებით განსაზღვრული საკომისიოს გადახდა.
h. სერტიფიკატის გასხვისების შემდეგ სერტიფიკატის შემძენი იკავებს სერტიფიკატის წინა მფლობელის ადგილს და მასზე სრულად ვრცელდება წინამდებარე პირობები, სერტიფიკატის წინა მფლობელ[ებ]ის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება, განცხადებები და ა.შ.
i. დაუშვებელია სერტიფიკატის ნაწილობრივი გასხვისება ან/და ერთი სერტიფიკატის რამდენიმე პირის მიერ ფლობა.

## 6. კომუნიკაციის წესი

a. ბანკს უფლება აქვს შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი გადასცეს სერტიფიკატის მფლობელს ან გაუგზავნოს შეტყობინება/დოკუმენტი [კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით] ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე ან სერტიფიკატის მფლობელის იმ მისამართზე რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირების რეესტრში/მითითებულია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს ხელშეკრულებაში/განაცხადში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს სერტიფიკატის მფლობელის იმ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირების რეესტრში. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ნებისმიერი ამ პუნქტში დათქმული ფორმით ჩაითვლება სერტიფიკატის მფლობელის შეტყობინების ჩაბარებად. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ბანკის სახელით ბანკის თანამშრომლის მიერ ტელეფონის

ნომრიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით ან ელექტრონული ფოსტით ზემოაღნიშნულ რეკვიზიტებზე ჩაითვლება სერტიფიკატის მფლობელისათვის შეტყობინების ჩაბარებად.

b. შეტყობინება სერტიფიკატის მფლობელის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება:
   i. პირადად მიწოდების შემთხვევაში - შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის სერტიფიკატის მფლობელისათვის ჩაბარების დღეს.
   ii. კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში - კურიერის/საფოსტო ორგანიზაციისთვის ჩაბარების დღიდან მე–5 კალენდარულ დღეს, ან სერტიფიკატის მფლობელისათვის ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.

c. ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - სერტიფიკატის მფლობელის ელექტრონული ფოსტის სერვერიდან [მისამართიდან] ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინების მიღების შესახებ დასტურის მიღების დღეს ან გაგზავნიდან მომდევნო დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.

d. ნებისმიერი სხვა საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის თარიღიდან მეორე დღეს.

e. ბანკის შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი სერტიფიკატის მფლობელისათვის მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ბანკს შეტყობინება დაუბრუნდა გაგზავნილ მისამართზე სერტიფიკატის მფლობელის ადგილსამყოფელის/საცხოვრებელი ადგილის არ არსებობის გამო ან სერტიფიკატის მფლობელი უარს განაცხადებს შეტყობინების ან დოკუმენტის მიღებაზე/ჩაბარებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას ან ბანკი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებს თავდების ელექტრონული ფოსტის მისამართის გაუქმების ან არ არსებობის შესახებ შეტყობინებას.

f. თუ მოხდა ხელშეკრულებაში მითითებული სერტიფიკატის მფლობელის რომელიმე რეკვიზიტის/საკონტაქტო მონაცემის შეცვლა და ამის შესახებ წერილობით არ ეცნობება ბანკს, შეტყობინება/დოკუმენტი სერტიფიკატის მფლობელის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება მითითებულ რეკვიზიტზე/საკონტაქტო მონაცემზე გაგზავნის შემთხვევაშიც.

## 7. დავათა გადაწყვეტა

a. ნებისმიერი დავა, გამომდინარე შესაბამისი ხელშეკრულებით [პირობებით] დარეგულირებული ურთიერთობებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან [მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან], ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას“ [საიდენტიფიკაციო N205267389], რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას.

b. მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპონდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპონდენცია [მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.] ჩაითვლება ჩაბარებულად [შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით].

## 8. დასკვნითი დებულებები

a. ბანკი და სერტიფიკატის მფლობელი დაიცავენ წინამდებარე პირობების და მასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობის კონფიდენციალობას იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება:
   - **i.** იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად.
   - **ii.** ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან.
   - **iii.** ინფორმაციას, რომელიც გაცემის ვალდებულება მხარეს დაეკისრება უფლებამოსილი ორგანოს კანონიერი მოთხოვნის საფუძველზე.

b. ბანკი უფლებამოსილია:
   - i. კლიენტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, რომელიც ბანკს უწევს პროფესიულ მომსახურებას.
   - ii. სადეპოზიტო სერტიფიკატთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოიყენოს ვი თი ბი ჯგუფის ჯგუფური ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის.
   - iii. კლიენტის ანგარიშის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს.
   - iv. თუ სადეპოზიტო სერტიფიკატის წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, აღნიშნული მოთხოვნის ბანკის მიერ სხვა პირისათვის დათმობისას/დათმობის შესახებ განზრახვისას, სერტიფიკატის შესახებ ინფორმაცია გადასცეს მესამე პირებს.

c. ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პირობები და შეცვლილი სახით განათავსოს ბანკის ვებ გვერდზე.

d. კლიენტი თანხმობას აცხადებს, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ კანონმდებლობით დადგენილი წესით (1) იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის (2) საბანკო მომსახურების მიღების (3) საინფორმაციო ხასიათის შეტყობინებების გამოგზავნის (4) განხორციელებული საბანკო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდების და (5) პირდაპირი მარკეტინგის მიზნით და ამ მიზნების განსახორციელებლად საჭირო მოცულობით მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები.